

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალის  
თანამდებობრივი სარგო

1. **„გ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -**

- ა) პროფესორი - თვეში 1150 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 920 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 700 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორის**ათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, **ასოცირებული პროფესორის**ათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, **ასისტენტ-პროფესორის**ათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

**ბ.ა) პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ

მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

### **ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

### **ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

### **3. „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -**

- ა) პროფესორი - თვეში 1830 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1430 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1080 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 12 საათი - (6 საათი სააუდიტორიო, 6 საათი საკონსულტაციო), ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - (8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო), ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 22 საათი - (12 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო);

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 2300 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1775 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1300 ლარი.

6. მე-5 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - (8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო), ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 20 საათი - (10 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო), ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 26 საათი - (14 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო);

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორისათვის, ასოცირებული პროფესორისთვის და ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

7. წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტის „ბ“ და მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული „ბ“ და „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის მინიმალური სავალდებულო

სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა შეიმუშაოს ფაკულტეტის საბჭომ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში წარმოადგინოს არაუგვიანეს 2015 წლის 1 ივლისისა.

8. წინამდებარე დანართის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ნებადართულია: შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება, არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში, ასევე უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო/კვლევით/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა ან ხსენებული ხელშეკრულების ან მემორანდუმის ფარგლებში, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ ანაზღაურებად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობაზე, ასევე სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი)).